საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

05/08/2025

MES 7 25 0000957996

გადაწყვეტილება

„სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნების'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის №54377 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. „სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნების'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის №54377 გადაწყვეტილებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:
1.1 გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: ,,სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნების'' (დაზგური გრაფიკა, სარეკლამო გრაფიკა, ხატვა) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ."
1.2 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: ,,დაკმაყოფილდეს სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1- ით გათვალისწინებულ „გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნების'' (დაზგური გრაფიკა, სარეკლამო გრაფიკა, ხატვა) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით."
1.3 გადაწყვეტილების დანართი ჩამოყალიბდეს ამ გადაწყვეტილების დანართის შესაბამისად.

2. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 5 აგვისტოს №954725 სხდომის ოქმის №09 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 22 ივლისს.
4. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილების კანონმდებლობის შესაბამისად გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება (დაზგური გრაფიკა, სარეკლამო გრაფიკა, ხატვა)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	თსსა მიერ განსაზღვრული გამოცდები: 1.სპეციალობა (ხატვა) 2.უცხო ენა
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნების მაგისტრი გრაფიკაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0213 სახვითი ხელოვნება Fine Arts
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	გრიბოედოვის ქ. N22; თბილისი; 0108, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2023 წლის 29 დეკემბერი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	ანგარიშის წარმოდგენის ვადა - 2024 წლის 29 დეკემბერი
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2030 წლის 29 დეკემბერი